



მის.: ქ.თბილისი, კეკელიძის ქ. 25  
ელ-ფოსტა: zuchi454@yahoo.com  
ტელ.: +995 592 23 09 05

Add.: 25 Kekelidze Str. Georgia, Tbilisi  
E-Mail: zuchi454@yahoo.com  
Mob.: +995 592 23 09 05

№1/10

05 ოქტომბერი 2020 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება

მე შ.პ.ს. „მმს გაზ“-ის (ს/კ 405017324) აირსავსები საკომპრესორო სადგურის დირექტორი ირინე სხირტლაძეს განზრახული მაქვს დაქვემდებარებული აირგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია ამავე ტერიტორიაზე ავტოგასამართი მსუბუქი საწვავის (ბენზინი, დიზელი) საშუალო სმძლავრის სადგურის მშენებლობა გარემოსდაცვითი მოთხოვნების ნორმატივების და საპროექტო დანიშნულებების სრული დაცვით და ავტოგასამართი კომპლექსიდან მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის შესწავლის შემდეგ ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შესათანხმებელი ვარიანტის წარდგენა.

ამიტომ მოგმართავთ სკრინინგ განცხადებით.

1. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ:

1. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის N 28-ში სადაც ამჟამად ფუნქციონირებს ბუნებრივი აირით გასამართი სისტემა. ნაკვეთის ფართი 832,0მ<sup>2</sup> მოცემულია საკადასტრო გეგმაში(დანართი 1-ში).დაშორება საცხოვრებელი უბნიდან 80.0 მეტრზე მეტია.მოქმედ აირგასამართში ჩატარდება სარეკონსტრუქციო-მექანიკური ღონისძიებები. ტექნოლოგიური თვალსაზრისით სრულად დამაკმაყოფილებელია 2 გასამართი სვეტით დღეღამეში 480 ავტო გამართვის შესაძლებლობით.
2. აგს გათვალისწინებულია 2 გასამართი სვეტით მიწისქვეშა ოთხ რეზერვუარიანი სარკოფაგით, ოთხი სახეობის მსუბუქი საწვავისათვის. რეზერვუარების მოცულობებია: ორი 8.56 და ორი 10.2 კუბ/მეტრი. სავარაუდოდ 2.5 მილიონი ლიტრი ბენზინის და 2.0 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავის წლიური





რეალიზაციისათვის. სასუნთქი მილების ოთხი 5.0 მეტრიანი სიმაღლის და რეზერვუარებში საწვავის მიმღები მილები მოწყობილია სარკოფაგიდან დამორებით.

3. დანართ 2-ში მოცემულია განმარტებითი ბარათი ტექნოლოგიურ ნაწილზე.

4. პროექტის მიხედვით კომპლექსი აღჭურვილი იქნება:

- აირის საკომპრესოროში და რეზერვუარებში მიმღები და გასაცემი მილმდენებით;
- კომპლექსის სამუშაო რეჟიმი წლის განმავლობაში სადღეღამისოა. ამისათვის დაგეგმილია საოპერატორო და დამხმარე სათავსოები;
- ორივე ავტოგასამართი მოედანი გადახურული იქნება. მილმდენების და გასამართი სვეტების სისტემა სტანდარტების შესაბამისია და მოცემულია შესაბამის უწყებასთან შეთანხმებულ პროექტში;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენა „ჭუმუსი“ ძალიან მცირეა და გათვალისწინებულია მისი გადატანა მშენებლობისაგან თავისუფალ გამწვანებისათვის დაგეგმილ ფართობზე. გრუნტის თიხის დასაწყობება ნიშნავს სარეზერვუარო მიწისქვეშა პარკისათვის ამოღებული თიხის დაინტერესებული უწყებისათვის გადაცემას. მაგალითად - სამშენებლო ინერტული მასალების ამოღებით წარმოქმნილი ღრმულების რესტავრაციის დანიშნულებით;
- საწარმოს მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო მოედანი არ წარმოიქმნება. დაგროვდება შემკრებ ჭაში და დადგენილი წესით ჩაბარდება დაინტერესებულ უწყებას. ასევე გაფორმდება ხეკლშეკრულება საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე. სხვა ნარჩენები არ წარმოიქმნება. საპროექტო ტერიტორიაზე დამხმარე სათავსოების მოწყობის დროს ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არა აქვს.
- წყალსადენ კანალიზაციის ქსელი ადგილობრივია; საწვავის გასაცემ გადახურულ მოედნებზე ავარიულად დაღვრილი საწვავის ან მოედნის ნარეცხი წყლები გადადის ნავთობპროდუქტების დამჭერ ჭაში და მექანიკური გაწმენდის შემდეგ გადავა ქალაქის ქსელში. სავალი და და სხვა ტერიტორიებიდან ნიაღვრული წყლები ჩვეულებრივად, ბუნებრივი წესით გადავა მიმდებარე ტერიტორიაზე;
- კომპლექსის კატასტროფული რისკის მოგვარების საკითხები (მეხამრიდი, ელექტრო დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა) გათვალისწინებულია საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. მოცემულია პროექტში (დანართი 4).

კომპლექსში არ იქნება მაღალი ხმაურის წყარო. საქმიანობა არ ითვალისწინებს

მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ მის სიახლოვეს არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და დაცული ტერიტორიები.

კომპლექსის სხვა ტიპის საწარმოებთან კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ

არის. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, ნაჯერი და უჯერი, არომატული (ბენზოლი, ქსილოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი) სხვა. მაქსიმალური გაფრქვევები ფიქსირდება მსუბუქი სდაწვავის მიღებისა და გაცემის დროს.

მახასიათებლების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია დანართი-3 ცხრილში. საწარმოს გეგმა გაფრქვევის წყაროებით მოცემულია დანართ 5-ში. ასეთი სიმძლავრის კომპლექსებიდან შეუფერხებელი ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა. გაფრქვევები ლოკალიზებულია კომპლექსის ტერიტორიაზე და ფაქტობრივად არ სცილდება გაფრქვევის ტერიტორიის 50 მეტრიან რადიუსს. დამორება უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე გაცილებით მეტია.

დანართი: ასლი 11 ფრც.

1. ტერიტორიის საკადასტრო გეგმა;
2. განმარტებითი ბარათი ტექნოლოგიურ ნაწილზე;
3. ობიექტიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა მახასიათებლები;
4. ტექნოლოგიური პროექტი;
5. საწარმოს გეგმა გაფრქვევის წყაროებით.

პატივისცემით,

შპს "მმს-გაზი"-ს დირექტორი:



/ირინე სხირტლაძე/